საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030103307558016

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/93624 **27 / დეკემბერი / 2016 წ.**

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის“
პროგრამის დირექტორს
ქალბატონ ლია თოდუას

მისამართი: ქ. თბილისი 0177,
დელისის I შესახვევი #5ა

ქალბატონო ლია,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გადმოგზავნილი თქვენი წერილი (№120095; 25.11.2016 წ.), საბავშვო სათამაშოებში ჯანმრთელობისათვის მავნე ქიმიური ნივთიერებების კვლევის შედეგების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-9 მუხლის შესაბამისად, „მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი“, ამასთან, მან „არ უნდა გაავრცელოს ისეთი პროდუქტი, რომელიც, მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, არ შეესაბამება უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს“. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნები ძირითადად განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტებით, თუმცა „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი ამ ეტაპზე არ არის დამტკიცებული. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების (ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში) მიერ საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სისტემების შესწავლისას და დაიგეგმა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბაზარზე ზედახედველობის კუთხით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ, დღეისათვის, მომზადებულია „სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სათამაშოებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს განსაზღვრას და ზედამხედველობის განხორციელებას ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების შესაბამისად შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად ჩაერთვება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად სათამაშოების უსაფრთხოების მიზნით სარეგულაციო მექანიზმების შემუშავებაში.

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი მარინა დარახველიძე